წლიწადი მეორე ფასი 7 კაპ. კვირა, 24 მკათათვე 1916 წ. № 164

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело", поч. ящикъ № 76

განცხადებათა ფასი
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 4 მ.; 20×2 ღირს მ., 25×2 ღირს 7 მ. 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში ელ. 1 მ. მეტი.
დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

დღეს, 24 მკათათვეს, გარდაცვალების ორმოცის თავზე, დიდუბის ეკლესიაში დანიშნულია წირვა და პანაშვიდი განსვენებულ

ალექსანდრე თევდორეს ძე

ყიფშიძის

სულის მოსახსენებლად, რასაც იუწყება

გამომცემელი ამხანაგობა „საქართველო"
და გაზეთი „საქართველოს" რედაქცია.

წირვა დაიწყება დილის 9 საათზე, პანაშვიდი 12 საათზე.

კვირას, 24 მკათათვეს დიდუბის ეკლესიაში დანიშნულია ორმოცის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

ალექსანდრე თევდორეს ძის

ყიფშიძის

სულის მოსახსენებლად, რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ჰირისუფალნი

გრიგოლ თევდორეს ძე ყიფშიძე მეუღლითა და შვილებით მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 24 მკათათვეს დიდუბის ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის მისის ძმის

ალექსანდრე თევდორეს ძის

ყიფშიძის

სულის მოსახსენებლად

გულმოკლულნი მეუღლე ელენე იოსების ასული, დედა ელისაბედი, ძმები: ალექსანდრე მეუღლით და არსენ, დები: ბაისო, ლისა, ასინეთი, მართა, სიდედრი ანნა გიორგის ასული, ლეონიდი მეუღლით, ათინოგენ, ვიქტორ, სოსო, არჩილ და ნინო მექანარიშვილები, თამარ და ემილ სირბილაძენი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ საყვარელ

გიორგი სპირიდონის ძის

ლომთათიძის

უდროოდ გარდაცვალებას
პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზედ. მელიქოვის ქ. № 7.
(1-280-1)

ილია მიხეილის ძე ხარაშვილი და მისი მეუღლე მართა ალექსანდრეს ასული შვილებითურთ: კნეინა ალექსანდრა მაჩაბელი, ბარბარე ივანიცკისა, სოფიო ონიაშვილი, მიხეილ, შალვა, გიორგი და ლევანი გულდაწყვეტილნი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 24 მკათათვეს, დილის 10 საათზე კუკიის წმიდა ნიკოლოზის ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი დასავლეთის ასპარეზზე მეხისაგან დაღუპულ პირველ ორის შვილი, ხოლო დანარჩენთა ძმის უნტერ-ოფიცერის

ალექსანდრე (ლექსო) ილიას ძის

ხარაშვილის

სულის მოსახსენებლად.
(3—274—2)

აბრამ ილიას ძე და მარო სპირიდონის ასული ტურაშვილები შვილებითურთ მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ცხრა ამ თვეს ქალაქ კალუგაში მეხისაგან მოკლულის, პირველის დისწულის, ხოლო მეორესი—მულისწულის, დასავლეთის ფრონტის უნტერ-ოფიცრის ძვირფას და დაუვიწყარ

ალექსანდრე (ლექსო) ილიას ძე

ხარაშვილის

სულის მოსახსენებლად გადახდილი იქნება პანაშვიდი, კვირას, 24 მკათათვეს კუკიის წმიდა ნიკოლოზის ეკლესიაში, დილის 11 საათზედ. განსვენებულის გვამის ჩამოსვენების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.
(2—27—2)

პოლკოვნიკი ზაქარია თევდორეს ძე ყიფშიძე მეუღლითა შვილებით მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 24 მკათათვეს დიდუბის ეკლესიაში გადახდილ იქმნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის მისის ძმის

ალექსანდრე თევდორეს ძის

ყიფშიძის

სულის მოსახსენებლად

გულდაწყლულებული დედ-მამა, დიდიდედები, ბიძები, ბიძის ცოლები და და მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ავსტრიელებთან ბრძოლაში ათ ივლისს დაიღუპა პოდპორ.

ვანო ნიკოლოზის-ძე

ნაჭროშვილი

ცხედარს ამ დღეებში მოასვენებენ და დაკრძალავენ სოფ. ზემომაჩხაანში.
(1-279-1)

## ახალი კლუბი

ერთი კვირის პროგრამა 25—31 მკათათვემდე.

**ორშაბათი**—ოპერეტკა.
**სამშაბათი**—სიმფონიური კონცერტი ბ. ალ. გესის ლოტბარობით. მონაწილეობ. კოცერტმეისტერი ბელსკი.
**ოთხშაბათი**—სინემატოგრაფი—კონცერტი—სიმფონიური ორკესტრისა ბ. ალ. გესის ლოტბარობით.
**ხუთშაბათი**—ქართული წარმოდგენა—სამხედრო ორკესტრი.
**პარასკევი**—სინემატოგრაფი, კონცერტი სიმფონიური ორკესტრისა მ. ა. ვოლფ-იზრაელის ლოტბარობით.
**შაბათი**—კონცერტი სიმფონიური ორკესტრისა მ. ა. ვოლფ-იზრაელის ლოტბარობით. მონაწ. ი. პ. სარაჯევი.
**კვირა**—საბავშვო საღამო—სინემატოგრაფი. სამხედრო ორკესტრი.

დასაწყისი: კონცერტებისა საღ. 9 საათზე.
„ სპექტაკლისა $8^1/_2$ საათზე.
„ სინემატოგრაფისა $8^1/_2$ საათზე.

**კლუბში** შესასვლელი ფასები ჩვეულებრივია. სამშაბათს და შაბათს შესასვლელი ფასი მამაკაცისა 1—05 კაპ., მანდილოსნებისა და სტუდენტებისა—65 კაპ.
(1—191—1)

## ხარფუხის საზოგადო კლუბი

(მიხეილის პროსპექტი № 131, საზაფხულო შენობაში)

კვირას, 24 მკათათვეს, გაიმართება

სარაჯიშვილის, ლ. ვლადიმეროვის და მცირე წლოვან ლ. ბენდიცკის მონაწილეობით გაიმართება

კონცერტი

ორს განყოფილებად

როალთან რავენსკაია

წარმოდგენაზე შესვლა უფასოა. ✦✦ დასაწყისი საღამოს 9 საათზე.
(1—193—1) სტუმრები საზოგადო წესით.

## ახალი მელანი
### კოტე ონიკაშვილისა

დავამზადე მელანი და ვყიდი შემდეგ ფასებში

ვინც ორ თუმანზე მეტს გამოიწერს შუშით (ფლაკონით) ეღირება: გირვანქა—1 მ., $^1/_2$ გირვანქა—50 კაპ. $^1/_4$ გირვანქა—30 კაპ.

ვისაც ფუთობით ჰსურს გაიწეროს უფლაკონოდ ერთი ფუთი ღირს 35 მან.

გასაგზავნს ფასს ნახევარს ჩვენ ვიხდით. ფასდადებით მელანი გაეგზავნება, ვინც მესამედს ფასს წინადვე გამოგვიგზავნის.

✦ მსურველს მივაწვდი ჩემის მელნის ნიმუშს ✦

მისამართი: ქ. თელავი, კოტე ონიკაშვილი.

## ხარფუხის კლუბის მამასახლისთა საბჭო

ამით აუწყებს წევრებთ, რომ კვირას, 24 მკათათვეს, 11 საათზე, დანიშნულია

საგანგებო კრება

განსახილველია შემდეგი კითხვები:
1) საზამთრო შენობის შესახებ.
2) მიმდინარე საქმეები.
3) არჩევა წევრებისა და მათი კანდიდატებისა.
(1-194-1)

## კოოპერატივი „მეურნე"-ს საგანგებო კრების გაგრძელება

მოხდება კვირას, 24 ივლისს, სამეურნეო ბანკის დარბაზში საღამოს რვა საათზე. განსახილველია:
1) კოოპერატივის ანგარიში სამი თვისა.
2) გამგეობის წევრთა დ კანდიდატების არჩევნები.
3) მიმდინარე საქმეები.
(1—192—1)

### თბილისი, 24 მკათათვე

**ქვენა გრძნობანი.** საზოგადოების ნაწილი შეიპყრო დაბალმა გრძნობებმა და დაიწყო მტაცებლობა, სხვისი საკუთრების ტაციობა ეს ხდება არა მარტო ქალაქებში, სადაც თავმოყრილია ყოველი რჯულის და მდგომარეობის ხალხი, სადაც რაც უნდა მოხდეს, შეგიძლიან საზოგადოების „ნაძირალებს" გადააბრალოთ. იტყვით —ესა და ეს სისაძაგლე მცხოვრებთა „ნაძირალებმა" ჩაიდინეს, რომელთაც არავითარი პატიოსნება და სხვა რამ მაღალი ღირსება არ შერჩენია-თო. მაგრამ რბევა-მსხვრევა მოედო სადაც გამეფებული იყო შრომა წმინდა და პატიოსანი, სადაც ყოველივე გარჯით და ჯაფით მოიპოვებდა და სხვისი რამეს წართმევა და მითვისება ყოველთვის დიდ ბოროტებად იყო მიჩნეული.

არბევენ მეწვრილმანესაც (აბა დიდი სავაჭროები იქ სად არის:), რომლის მთელს სარჩო-საბადებელს შეადგენს რამოდენიმე ფუთი საქონელი, დიდის ვაი-ვაგლახით შეძენილი და მოტანილი. ვინ იცის თვით ამ ვაჭარს რამდენი მწარე აზრები გამოუთქვამს უფრო დიდი ვაჭრის წინაშე ქალაქში, როდესაც ის საქონლის საყიდლად მისულა. განა სიამოვნებით მიუცია მას ორ შაურიან საქონელში ათი შაური თუ მეტი, რომ შემდგომ კიდევ მეტი გადაეხდევინებინა საბრალო გლეხისთვის? განა ცოტაა სოფლად და დაბებში ასეთი წვრილი მოვაჭრენი, რომელთაც თავისი სავაჭროები დაკეტილი აქვთ და მიზეზად საქონლის უქონლობას გეტყვით? თქვენ უნდა მიხვდეთ, რომ მიზეზი სულ სხვაა. მათ თითონ ვერ გადუხდიათ შაურიან საქონელში ხუთი და ექვსი შაური, ეშინიათ, ვერ გაუბედავთ, ომი რომ უცბად გათავდეს ძვირად ნაყიდი საქონელი ჩაგვრჩებაო, ან და როგორ უნდა მივყიდოთ ჩვენ მუშტარს ასე ძვირად, ხომ სამუდამოდ მოგვემდურებიანო და სხვა. ნუ თუ ეს ხალხია ის საშინელი სპეკულიანტები, რომელთაც ყოველივე საქონელი გააძვირეს! რამდენად უნდა დაეცეს ხალხის ზნეობა, რამდენად უნდა დაკარგოს მშრომელმა შრომის სიყვარული და პატივისცემა, რომ სხვისი ქონება დაიტაცოს, ძარცვა-გლეჯა დაიწყოს!..

გასამართლებელ საბუთს ადვილად პოულობენ: გამწარდა ბატონო ხალხი, ვეღარ გაუძლო ამ საშინელს სიძვირეს. განა მარტო ის საქონელი გაძვირდა, რომელიც მაღაზიებში იყიდება? გაძვირდა ყოველივე—სოფლის თუ ქალაქის ნაწარმოები, გლეხის თუ ქარხნის მუშის ნამუშევარი, გაკეთებული თუ შორიდან მოზიდული საქონელი, ზოგი მეტად, ზოგი ნაკლებად. თუ ძვირდება ხორცი, ბოსტნეულობა, რად არ უნდა გაძვირდეს მოსკოვში გაკეთებული ფართლეულობა? მეტად გაძვირდა, ნამეტნავად გაძვირდა, ვიტყვით. სრული სიმართლეა, მაგრამ განა ჩვენ გამოვიკვლიეთ ამის ნამდვილი მიზეზები? განა ჩვენებური მეწვრილმანეების ბრალია ეს?

ვინ არ იცის, რომ ამ საშინელი სიძვირის მიზეზები მრავალ ადგილას ბუდობს და როგორც ვაჭარს, მრეწველთ თუ მუშას, ისევ მრავალი სხვა მიზეზები ახდენენ მაზედ გავლენას. მაგრამ ჩვენ ამას არ ვკითხულობთ... უფრო ადვილი და სადაა ის თქმა, რომელსაც ქუჩაშიც მეტი გასავალი აქვს. სისხლის მწოველი ვაჭრები, საზიზღარი სპეკულიანტები, გაიძვერა ჩარჩები—აი რაზედა სწერენ და ლაყბობენ წამ და უწუმ ის პირები, რომელთაც თავის თავი ერის მეთაურად და ჰირისუფლად მოაქვთ.

მათ რად ულირთ მოვლენის სწორად გაშუქება, საკითხის გამორკვევა, როდესაც ბრბო ამას არ თხოულობს...

ისეთი ძარცვა—გლეჯა,

ჩვენს ქვეყანას დიდი ხანია არ უნახავს. ძველად, როდესაც ჩვენს სოფლებს მტერი შემოესეოდა, სწორედ ასე აოხრებდენ და ანადგურებდენ ყოველივეს და იტაცებდენ ხალხის ქონებას.

ამას ჩადიოდა მტერი, უცხო ხალხი, რომელიც ჩვენს ქვეყანასთან არაფერი არ აკავშირებდა. დღეს

მეზობელი სტაცებს მეზობელს მთელს მის ქონებას, სარჩო-საბადებელს. ეს ხდება აშკარად, ყველას თვალწინ...

ცოტა გაჭირვება არ გამოუვლია ჩვენს ხალხს წარსულში, მრავალჯერ უნახავს მას კიდევ უარესი სიძვირე და სიმშილიც, მაგრამ მას ასეთი რამ არ ჩაუდენია. ხალხში ძლიერი იყო მოქალაქობრივი ზნეობა და პატივი სხვისი კუთვნილებისადმი. დღეს ხალხში სულ სხვა რჯულს და ზნეობას ამტკიცებენ. ქონება და საკუთრება ბოროტებად არის მიჩნეული, აღებ-მიცემობა კი ცოდვად და დანაშაულად. მუშამ რომ დღიურ შრომაში აიღოს თუმანი არავის გააკვირვებს, მაგრამ მეწვრილმანემ რომ დღეში სამი-ოთხი მანეთი მოიგოს ყვლეფად და ექსპლოატაციად გამოაცხადებენ. და განა არ იციან, რომ თანამედროვე ცხოვრებაში როგორც მუშა, ისე ვაჭარიც საჭირო და გამოსადეგ საქმიანობას ეწევიან? განა არ იციან რომ როგორც პირველის, ისე მეორის შრომა საჭირო დღევანდელ ურთიერთობაში?

ქვენა გრძნობები მძვინვარებს დღეს ჩვენს ცხოვრებაში და ეს ნაყოფია ჩვენი ცხოვრების უკუღმართი ურთიერთობის.

—

ჩვენს რედაქციას პროვინციებიდან მრავალი წერილი მოსდის, სადაც გვატყობინებენ, რომ ადგილობრივი მრევლები, სინოდის ობერ-პროკურორის ჩამოსვლის გამო, მზად არიან აირჩიონ სათანადო დეპუტაციები, რომ მოახსენონ საქართველოს ეკლესიის საქმეთა გამგე უწმიდესი სინოდის მაღალ მოხელეს მათ შორის სარწმუნოების დაცემის ამბავი და მთელი ის საბედისწერო შედეგები, რომელიც აქედან გამომდინარებს და რომელიც ქრისტეს მაღალ ღირსეულად მოტრფიალე ქართველ ხალხს სრულ გავერანებას და სულიერ და ხორციელ წარწყმედას უქადის.

ამგვარისავე განცხადებებით ჩვენს რედაქციაში შემოდიან ქალაქ თბილისის მოქალაქე-ქართველებიც. ქართველი ერის სიმრავლეს, ქართველ ხალხს, ღრმად ჩაფიქრებული რომაა სარწმუნოების დაცემით, იმ სარწმუნოებისა, რომელიც მრავალ საუკუნის განმავლობაში მთელი ქართველობის ზნეობრივ სიმტკიცეს შეადგენდა, სურს თავიანთ წრიდან არჩეული კაცების პირით წარსდგეს უფალ ვოლჟინის წინაშე და გადაუშალოს მთელი ტრაღედია მართლმორწმუნე ქართველობის სულისა, და ამცნოს რომ, თუ უწმიდეს სინოდს არ სურს ივერიის ეკლესიის აღგვა დედამიწის პირისაგან და ქართველი ერის გაუსჯულოება, იგი მოვალეა ანგარიში გაუწიოს, რასაც მრავალი წლის განმავლობაში მთელი ქართველი საზოგადოება ერთხმად თხოულობს დაცემული ქრისტეს სჯულის აღსადგენად ქართველთა სამშობლოში.

ამ წერილებს, ამ სიტყვიერ განცხადებას უაღრესი ყურადღება უნდა მიექცეს. ეს სხვა და სხვა დაბა-ქალაქისა თუ სოფლის მკვიდრთა ცალ-ცალკე გამოცხადებული კოლექტიური სურვილები და დეკლარაციები ერთ სამდინაროში უნდა მოექცეს, რომ მწყობრი გრანდიოზული დეკლარაციის სახე მიიღოს. ამას კი მოწყობა უნდა, მოგვარება; ქაოსსა და უსისტემობას ადგილი არ უნდა მიეცეს.

უწინარეს ყოვლისა ამ ქართველ მრევლში ბუნებრივად დაბადებულსა და აღძრულს საღ გრძნობასა და აზრს ქართველი სამღვდელოება უნდა გამოეხმაუროს და ნამდვილი მწყემსური მზრუნველობა გაუწიოს.

ამ საქმის მოგვარებაში უნდა მონაწილეობა მიიღონ აგრეთვე ჩვენმა კულტურულმა დაწესებულებებმა და ამ დაწესებულებათა კავშირმა. რას გვიკეთებს ან ეს კავშირი ან სხვა და-

წესებულებები თუ რომ ყოველს მომენტში და ყოველ საჭიროების დროს ისინი ეროვნულ საქმესა და ინტერესებს ფხიზელ დარაჯად არ ეყოლება?

ამავე საქმის ფერხულში უნდა ჩაება, ყოველ მიზეზის გარეშე, საქართველოს თავად-აზნაურობაც. მის ხმასა და თაოსნობას დიდი ფასი და გასავალი აქვს. აქ ჩამოთვლილი დაწესებულებანი და წოდებანი ვალდებულნი არიან ერთმანეთს შეეწყონ, ერთმანეთს შეუთანხმდენ, რათა ერთი ფორმა და გამოსახულება მისცენ დაბლიდან, მრევლის გულიდან ამოხეთქილ ყოვლად სალს გრძნობას და მისავე თავში დაბადებულ ჭკვიანურ აზრს. თუ წინამძღვრობა და ბელადობა არ შეგვიძლიან, ხალხის მხსნელ ალღოს და თაოსნობას მაინც მხარი დაუჭიროთ და „სიძნელე გზისა“ გაუადვილოთ.

ხმა ღვთისა და ხმა ერისაო, ნათქვამია. ვისმინოთ ეს ერის ხმა, მხოლოდ იმაშია ჩვენი ხსნა!

## ღია წერილი ქართველ სამღვდელოებას

გაილხო და დადნა უძლიერესი სუ- [illegible]

[illegible] ლი მრევლში ამ სარწმუნოების დაცვის შესახებ.

ბევრჯელ ჩვენ, მრევლს, თქვენ მიმართ გულწრფელი საყვედური და დატუქსვა გამოგვიგზავნია, რადგან თქვენში ვერ გვიპოვნია ღირსეული მემკვიდრენი იმ ძველ ქართველ მოძღვართა რომელნიც ეროვნული სარწმუნოების დასაცავად არამც თუ ამ ქვეყნიურ კეთილ ცხოვრებაზედ იღებდენ ხელს, არამედ საკუთარს და თავის ცოლშვილის სიცოცხლეზედაც. თქვენში ვერ გვიპოვნია ვერც სიდიადე სულის რომ ჩვენში აღზრდილიყო მადალი გრძნობა მამულის სარწმუნოების უმწიკვლო დაცვისა და ვერც სიმტკიცე ხასიათის, რომ უდრტვინველად აგვეტანა რასაც ბედი შეგვამთხვევდა ჩვენი სარწმუნოების დაცვის სასჯელად! და თქვენ ბევრ რამეში გვსახავდით სარწმუნოების დაცემის მიზეზად ივერიის ეკლესიის მრევლთა შორის. ხოლო ორთავენი, თქვენც, სულიერო მოძღვარნო და ჩვენც, ივერიის ეკლესიის მრევლნიც, ურთიერთის წინაშე თავს ვიმართლებდით იმ საერთო მდგომარეობით,

ეს საერთო მიზეზი ყველამ ვიცით. მისი სინამდვილე უაღრესი ჭეშმარიტებაა და ჩვენც ამ სინამდვილის დასახელებით ჩვენს პირად დანაშაულს ვიმსუბუქებდით...

უკვე რამოდენიმე წელიწადია რაც მთელი ქართული აზროვნება უკლებლივ მივიდა იმ დასკვნამდე რომ შეუძლებელი იყო ივერიის ეკლესიის გამობრუნება და ქართველ ხალხში სარწმუნოების აღდგენა, უკეთუ ეს ძირითადი მიზეზი არ გადავარდებოდა და მოიითხოვა, სწორედ ამ მიზნით, ივერიის ეკლესიას დაბრუნებოდა მისი ქონება და უფლება. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობა საერთო ეროვნულ ლოზუნგად გამოცხადდა, რომელსაც ამ უკანასკნელი ათი-თორმეტი წლის განმავლობაში იმეორებს ჩვენი მოწინავე საზოგადოება, ქართული პრესა და დიდის ვაი ვაგლახით თვით სამღვდელოებაც, თუ მთელი სამღვდელოება არა, მისი ერთი ნაწილი მაინც.

უფლების დაცვაში მოქანცვა თუ დაგვეტყო, მთელი საქმე წაგებულია. საბოლოო მიღწევამდე ჯანგაუტეხელი უნდა იყოს ჩვენი მოქმედება. ჩვენი ეკლესიის უფლებისათვის ბრძოლა და მისი დაცვა პირველ ყოვლისა ევალება ქართველ სამღვდელოებას, რომე- [illegible]

[illegible] პოლიტიკური რწმენისა, ერთნაირად აზროვნობს და რომ ყველა ერთნაირად მოითხოვს, სარწმუნოებისა და დაცემული ეკლესიის აღსადგენად, ამ ეკლესიის ავტოკეფალურ უფლების აღდგენას.

ქართველი სამღვდელოება, თუ მართლა გულწრფელია და ქართველი მორწმუნე მრევლის გულის მესაიდუმლე და მისთვის მზრუნავი, აქ ჩვენის შესწრებით და ჩვენთან ერთად მას ერის ხმა უნდა მოასმენინოს უწ. სინოდის ობერ პროკურორს. თქვენ გმართებთ მოხვიდეთ და გვიწინამძღვროთ და ჩვენც, აზნაური, გლეხი, თავადი თუ მოქალაქე ივერიის ეკლესიის მთელი მრევლი მოგყვებით ყოველგან, საცა საჭირონი ვიქნებით.

ივერიის ეკლესია ამას მოითხოვს. ეხლა თქვენ იცით თუ მის სახელს და უფლებას ამ შემთხვევაშიც არ ულალატებთ. მრევლის სარწმუნოებრივი სინიდისი მღელვარებით უცდის ქართველ სამღვდელოების მიერ სათანადო ნაბიჯების გადადგმას.

ვნახოთ რა იქნება...

**მრევლთაგანნი.**

## სიბნელის მსხვერპლი ვართ

დიდი გონებრივი სალარო უნდა დაგროვილიყო და ჟამგრძელი წინასწარი გონებრივი მუშაობა უნდა წარმოებულიყო, ვირდე უკანასკნელი საუკუნის მეცნიერება საერთო საფუძველს გამოუძებნიდა მკვდარს ბუნებაში გაბნეულ ნივთთ და მათ ერთმანეთს შეუნათესავებდა. კაცობრიობას უთუოდ მთელის თვის წარსულის ცხოვრებით უნდა ეცხოვრა, ვიდრე მეცხრამეტე—მეოცე საუკუნის მეცნიერება და აზროვნება საერთო ფიზიკო-ფიზიოლოგიურ საფუძველს გამოუძებნიდა მრავალ სახით გამოთქმულ სიცოცხლეს და ერთმანეთს დაუნათესავებდა ნაზად გაშლა რომ უყვარს იმ იას და დიდი ტანის აყრა რომ იცის იმ ცაცხვის ხეს! რამდენი შემოქმედებით ძალა და ენერგია, რამდენი კვლევა-ძიება უნდა გაეწია მოაზროვნე თაობებს, რომ მისულიყვნენ იმ აღმოჩენამდე რომ ერთგვარი ფიზიოლოგიური სინამდვილე ედო საძირკვლად უბრალო მწერის, ლალ ი მისა და მაღალ გონიერ ადამიანის არსებობას. რამდენი მეტი შემოქმედება და გონების რამდენი წრთვნა და წვალება უნდა გამოევლო კაცობრიობის მოწინავე შვილებს რომ ხიდი გაედო მეც- [illegible]

[illegible] ბის სიძლიერე რომ გარშემორტყმულ მცენარეებს და ცხოველებს შემოაცალონ განმასხვავებელი გარეგნობა, გონებით გასდიონ ამ დაწყებულ ანალიზს და შთასწვდენ იმას, რაც ზოგად-არსებითია ამ საგნებში, რაც ყველა მათ აერთებს და ეკუთვნის და რაც მათ ერთმანეთთან ორგანიულად აკავშირებს, ერთ კანონს უმორჩილებს. ამ ზოგადის აღმოჩენისათვის განვითარებული ტვინი და ღრმა აზროვნებაა საჭირო.

თუ ასეთი განსაკუთრებული გონებრივი სიძლიერე და კულტურაა საჭირო ფიზიკურ ბუნებაში საგანთა, მოვლენათა და არსთა შორის საერთო ნიადაგისა და ნათესაობის აღმოსაჩენად, ცხადია გონების ასეთივე თვისებები უნდა იყოს საჭირო ხალხთა ცხოვრებაშიც საერთო ნიადაგისა და საერთო ინტერესის აღმოსაჩენად. პრიმიტიული და განუვითარებელი ადამიანი თვის თავს, მსოფლიო ცენტრად სთვლის, თავის ვიწრო ინტერესის იქით იგი ვერაფერს ამჩნევს; მას არ ყოფნის გონების ძალა დაინახოს დიდი სულიერი საერთო ინტერესი,—სხვა მის წრეში და მის პირობებში მცხოვრებ ადამიანებთან. რადგანაც თვის კუჭით იგი გადაბმული არაა დანარჩენთა კუჭებთან, რადგან ყველასათვის ერთი უნივერსული საზიარო კუჭი თუ სხვა რამ ორგანო არ არსებობს, მორჩა და გათავდა, პრიმიტიულ აზრისა და გრძნობის ხალხისთვის არავითარი ზოგადი არ არსებობს და მისთვის ნება დართულია ერთმანეთის ღრენა და წკავ-წკავი!

ქართველი საზოგადოება, დღეს რომ ქვეყანას მესვეურობს და პარტიებად არის დაყოფილი, სწორედ ამ განუვითარებელ და პრიმიტიულ ადამიანთა გროვას წარმოადგენს, რომელსაც არ შესწევს არც სულის ძალა და არც გონების სიღრმე-განათლება რომ ქართველთა ინდივიდურ, კლასურ და წოდებრივ განსხვავებათა იქით დაინახოს, მთელი ქართველი ერის ერთი ზოგადი სახე, ის საერთო ნიადაგი, რომელიც ყველა ქართველს საერთო მიზანს უსახავს და საერთო საქმეს უჩენს. ეს პრიმიტიული ხალხი ვერ ამჩნევს რომ იმ ჩვენს გარეშე და ზექმნილ კავშირს, რომლითაც ყველა ცოცხალი ქართველი ჯერ ერთმანეთზეა მარადიულად გადაკავშირებული და მერე იმ მრავალ მილიონ ქართველებ- [illegible]

[illegible] გონების სიბეცით დაავადებული, საერთო იდეალებისა და საქმის გარშემო თავს ვერ იყრის. ვერ ხედავს რომ თავის ცხვირის იქით არის საერთო სამშობლო, რომელსაც ყველა ერთხმად უნდა უმღეროდეს ეროვნულ ჰიმნს და რომლის გულისთვის საჭიროების დროს ყველა განმზადებული უნდა იყოს უდიდეს მსხვერპლის გამოსაღებად. განუვითარებელი გონებისა და პატარა გრძნობების ბატონობისაგან ქვეყანა ვერ ხეირობს და მისი აღდგენა შეფერხებულია. მოწინავე კაცობრიობის ცივილიზაციის დიდ მემკვიდრეობას, სოციალ-პოლიტიკურად საზოგადოების დაყოფვის იდეას, ჩვენში დაეპატრონა „გაუნათლებელის ტვინი, პრიმიტიული ხალხი და საკაცობრიო იდეის სახელით თავზე კაკალს გვამტვრევენ. უბედურო საქართველო, მსხვერპლი ხარ სიბნელის!

**ძველი ქართველი.**

# ომის ამბები

## ბრძოლის ველზე

მდ. სტოხოდზე ბრძოლამ უფრო მკაცრი ხასიათი მიიღო. გერმანელებს მაშველი ჯარი მოსვლიათ და ახლა უკვე შეტევის გზას დასდგომიან: სოფ. რუდკა მირინსკაიასთან რუსები იძულებული გამხდარან უკან დაეხიენათ.

დღევანდელი ბრძოლის მოხაზულობა ორივე მხრისათვის იმდენად სახიფათო და არა უზრუნველ ყოფილია, რომ ადვილად მოსალოდნელია, სულ მოკლე ხანში მოწმენი გავხდებით იმ გენერალურ ბრძოლისა, რომელმაც უნდა გადასწყვიტოს გალიციის საკითხი. თავისით კი მდ. სტოხოდზე დაწყებულ ბრძოლას იმდენად აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც აქ გამარჯვება ჯარის ფრთას გაამაგრებს და ზურგიდან შემოვლის შიშს მოუსპობს მებრძოლს, გერმანელებისათვის განსაკუთრებით-კი, რამდენადაც ეს ადგილები საფარია კოველისა. ის ფიქრი, ვითომც აქ გერმანელები ბრძოლის ხაზის გარღვევას ლამობდნენ, ან და [illegible]

[illegible] თუ-კი რიგა-დვინის ბრძოლის ხაზს, როგორმე გამოასწორებენ. წინაღმდეგ შემთხვევაში ბარანოვიჩთან დაწყებული ოპერაცია უსიცოცხლო და უნიადაგო იქნება.

გარდა ამისა არც გენ. კუროპატკინი იდგება გულხელდაკრეფილი და წვერიდან დაიწყებს შეტევას.

მდ. სტოხოდზედ დაწყებული ბრძოლა აგრეთვე დაკავშირებულია სამხრეთ ბრძოლის ველთან. გენ. სახაროვის წინსვლას უთუოდ კალედინის არმია უნდა უწყობდეს ხელს. ამისათვის კი საჭიროა, კოლედონმა კოველი აიღოს და ეს ქალაქი გაიხადოს საკვეთ ბაზად. უკანასკნელი კი ამ ოპერაციას მაშინ დააგვირგვინებს გამარჯვებით, თუ გენ. ლეშა მდ. სტოხოდზედ გერმანელებს დაამარცხებს და კოველ იქით განდევნის. არის კიდევ ერთი მოსაზრება, რომელიც ძალიან ადვილია, რომ გამართლდეს. სახელდობრ შემდეგი: როგორც ვიცით გენ. ლეჩინსკის არმია უკვე სტანისლავს უახლოვდება. თუ მან შესძლო მარჯვენა ფრთით შეჭრა გალიჩისაკენ, მაშინ უეჭველია ავსტრიელებს ზოლოცია და გლინილიპას დაატოვებინებს და გენ. სახაროვსაც გზას გაუხსნის ლვოვისაკენ. მართალია ეს თანაც სახიფათო ოპერაციაა, რადგან მტერს შეუძლიან ზურგიდან მოექცეს და გზა მოუჭრას, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ გენ. ლეჩინსკის მეტად მშვენიერი საფარი აქვს. ეს გახლავთ მდ. დნესტრი, რომლის გადალახვა, მით უმეტეს ახლა წყალდიდობის დროს, არც ისე ადვილია და ვერც გაჰბედავენ ავსტრიელები.

ასეთი მდგომარეობაა დღეს დღეობით ბრძოლის ველზე. რას გვეტყვის ხვალინდელი დღე გადაჭრით ვერ ვიტყვით. ცხადია მხოლოდ, რომ მოპირდაპირენი უეჭველია შეეცდებიან იმდენად მაინც გაასწორონ ბრძოლის ხაზი, რომ მომავალში, ზამთარში ცოტათ თუ ბევრად უზრუნველ ჰყონ თავიანთ თავი.

X.

## ომის დეპეშები

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა**

[illegible]

**პეტროგრადი**, 22 მკათ. ოფიციალი. დასავლეთის ასპარეზი. მდ. სტოხოდზე ლიუბეშოვის მიდამოებში ჩვენი ჯარი მდინარის მეორე ნაპირზე გავიდა და რამდენიმე სიმაღლე დაიჭირა. მდ. სტავოკზე (სტოხოდის მარცხენა შესართავი) ჩვენი ჯარი ბრძოლით თვით მდინარეს მიუახლოვდა. აქ სოფ. რუდკა მირინსკის გულისათვის ცხარე ბრძოლა ასტყდა. ბრძოლა სოფლის ქუჩებში ხიშტებამდის მივიდა. სოფელი რამდენჯერმე გადადიოდა ხელიდან ხელში და ბოლოს მაინც ჩვენ დაგვრჩა. მოწინააღმდეგე სცდილობდა სოფელი დაებრუნებინა, მაგრამ წადილს ვერ მიაღწია. მტერი მდ. სტავოკის იქით გავრეკეთ. აქ ჩვენ ხელთ ვიგდეთ 12 ტყვიისმფრქვეველი და 600 ტყვე. კორიტცინის მიდამოებში მტრის იერიშები მოვიგერიეთ. დანარჩენ ასპარეზზე ჩვეულებრივი სროლაა.

**კავკასიის ასპარეზი.** მდგომარეობა უცვლელია.

## ქართული ხალხური სიმღერები და ბ-ნ დიმ. არაყიშვილის ახალი შრომა

ქართველი ხალხი ბუნებით მუსიკოსია. და წარმოუდგენელიც არის, რომ ის ხალხი, რომელსაც მრავალი საუკუნე გაუტარებია ამ ბუნებით მდიდარ ქვეყანაში არ მღეროდეს მაშინ, როდესაც ირგვლივ მთა და ბარი, ტყე და ველი, ლაჟვარდი ცა და ზურმუხტოვანი დედამიწა მხიარულობს, როდესაც თვით ბუნება მღერის. მართლაც აბა თვალი გადაავლეთ ჩვენი ქვეყნის სილამაზეს?

დილა ადრიან, რიჟრაჟისას, როცა ლურჯ ცაზე განთიადის პირველი ბინდი შეითამაშებს და სადღესო ზეიმისთვის ძირს დედამიწა საკეკლუცოდ მზადებას დაიწყებს, როცა მაღალ მთების კალთებზე შეფენილ ბუნდოვან ტყის სიღრმიდან პირველი მერცხალი გამცნობს დღის დასაწყისს და თავის ჭიკჭიკს მთის ნაპრალიდან გადმოხეთქილ ჩანჩქერის ჩუხჩუხს შეუერთებს, როცა ბუნების მჩატე სუნთქვას, შენს სუნთქვას შეუერთებ და გრძნობა გახალისებული მომავლის ოცნებას მიეცემი.

ნუ თუ არ დაიღუღუნებ, არ დაიმღერ?

ნუ თუ გულ-გრილი და გრძნობა მშრალი იქნები მაშინ როდესაც საღამოს ჟამს, მოღლილ ბუნებას ძილის პირი შეეპარება და მთის კალთებს ნაღვლიანი და შორეული ჩრდილი ჩაეფინება, როცა კაეშნიან არე-მარეს მთის ჩანჩქარი ტკბილ ნანას დაუმღერს და ცის სარტყელი შავ ძაძასავით გადაეკვრის დედა-მიწას, როცა შენს ნაღველს, ბუნების მოთქმა ბანს მისცემს,

ნუ თუ შენც არ მოსთქვამ, არ ამღერდები?

და რა გასაკვირველია, რომ ამ თვით განგებით ყოველმხრივ შემკულ ქვეყანაში ბედნიერებასაც და უბედურებასაც ხალხი სიმღერით მოსთქვამდეს! რა გასაკვირველია რომ მან თავისი სიხარული, აღტაცება, სიცოცხლის დაუშრეტელი სურვილი, დარდი, ვაება და კაეშანი სიმღერაში ჩამოაყალიბოს და თავის ქვეყნის ბუნების ჰარმონიას შეუფარდოს? თვით უსაშველი, წყალ წაღებული, სამყაროსა და თავის თავის ჭირუსუფალი, მუდამ მომდურავი ქვეყნის დასაბამისა და სიცოცხლის უმიზნობის მქადაგებელი, საამქვეყნო ცხოვრებაში გერად მოვლინებული ადამიანიც კი ქედს მოიხრის ჩვენი ქვეყნის ბუნების ბუმბერაზობის წინაშე და თუ ხმა მაღლა სიმღერის შნო არ მისცა ღმერთმა— გულში მაინც დაიღიღინებს.

აქ ადამიანი ფრთაშესხმული სანგვინიკია: გრძნობა სთრგუნავს გონებას, სიცოცხლე უსაზღვროდ საყვარელი ხდება და ადამიანი ძალაუნებურად თავის განცდას ბუნების განცდას უერთებს.

და აი სწორედ ამ ორ მიზეზთა შესისხლხორცებით წარმოიშვა ქართული მუსიკის სილამაზე.

ქართველი უმღერს და შესტირის ბუნებას, ბუნებაც უმღერს და შესტირის ქართველს.

მაგრამ არის კიდევ ერთი მეტად საგულისხმიერო მიზეზი, რომელსაც ქართველ ერის მუსიკალურ შემოქმედების განვითარებაში ნაკლები წილი არ მიუძღვის.

ჩვენ აქ საქართველოს ისტორიულ წარსულის სიმდიდრეზე ვლაპარაკობთ.

მრავალ საუკუნოების განმავლობაში ქართველ ხალხს ბევრი მწარ-სამსალა ულევია: თავისი გეოგრაფიული მდებარეობით იგი მთებთან ერთად მრავალ მტერ-მოყვარე ტომებით იყო გარშემორტყმული. მუდმივ ბრძოლებს, ათასგვარ ჭირს და ვარამს არ იქნება დაღი არ დაესო ქართველ ხალხის ეროვნულ გრძნობაზე, რომელიც მძიმე და დუხჭირ ცხოვრების დროს ნაღვლიან ქვითინში იხატებოდა. მაგრამ ნუ ვიფიქრებთ, რომ ამ ქვითინში ქართველი ხალხი თავის მწარე ბედს და ქვეყნის მომავალს სულთათანას უგალობდა! არა! ამ სიმღერა-ქვითინში ქართველური სულისკვეთება იხატებოდა: მასში იყო გულისწყრომა აწმყო სიდუხჭირეზე, გარდამავალ დროზე, ცხოვრების უკუღმართობაზე და იმედი ზოგჯერ მახლობელ, ზოგჯერ შორეულ მომავლისადმი.

ასე ვითარდებოდა ქართული მუსიკალური შემოქმედება, როგორც ქალაქური ისე სოფლური, როგორც მოქალაქობრივი ისე საეკლესიო.

ჩვენს ხალხურ მუსიკალურ სიმდიდრეს ძნელად თუ რომელიმე ერის მუსიკალური საგანძური შეედრება, როგორც თავის სილამაზით, ისე სხვადასხვაობით. ამასთანავე ქართველი ერი მუსიკალურ კულტურით ყველა ერზე მაღლა იდგა. ვერც ერთ ერის მუსიკის ისტორიაში ვერ შეხვდებით ცნობას იმის შესახებ, რომ ხალხური მუსიკა და კერძოდ ხალხური სიმღერები სამ ხმოვან ჰარმონიზაციით იყვნენ დამუშავებულნი. დასავლეთ ევროპის მუსიკის სამხმოვანება და მისი ევოლიუცია დაიწყო გვიან და შედეგი იყო არა თვით ხალხის შემოქმედების განვითარებისა, არამედ ნაყოფი კერძო მუსიკოსების კაბინეტურ და მეცნიერულ მუშაობისა. იქ იგი განვითარდა ხელოვნურად, ჩვენში კი თვით ხალხმა წარმოშვა.

ასეთია ჩვენი ხალხური მუსიკა. მაგრამ დღეს-დღეობით ჩვენ ვხედავთ, რომ ეს მეტად ძვირფასი საგანძური ხელიდან გვეცლება, რადგან რუსულ და საერთოდ ევროპიულ მუსიკის გავლენით ხალხი მას ივიწყებს და თუ სადმე კიდევ არსებობს ხელუხლებელი, იგიც ამ ცვალებადობას ვერ ასცდება.

ამიტომ არ შეიძლება სიამოვნებით არ აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ ამ ბოლო დროს, მეტადრე მეოცე საუკუნის დასაწყისში, ჩვენ მუსიკოსთა შორის ჩნდებიან ისეთი პირნი, რომელნიც სცდილობენ ჩვენი ხალხის ამ ძვირფას განძს პატრონობა გაუწიონ.

ჩვენ ამ ჟამად ხელთა გვაქვს ჩვენი ცნობილი მუსიკოსის ბ-ნ დიმიტრი არაყიშვილის ახალი შრომა: „ქართული სახალხო მუსიკალური შემოქმედება“, გამოცემული მოსკოვის უნივერსიტეტის მუსიკალურ-ეტნოგრაფიულ კომისიის მიერ. კრებული შესდგება 225 ხალხურ სამხმოვან სიმღერებისაგან და 39 საისტრუმენტო მელოდიებისაგან. სიმღერები და მელოდიები ჩაწერილია ავტორის მიერ 1901, 1912 და 1908 წლის მოგზაურობის დროს. კრებულში შედის ქართლ-კახეთისა, გურიისა, სამეგრელოს, იმერეთისა, რაჭირა და საქართველოს სხვა კუთხეთა სახალხო სიმღერები, იმ სახით როგორც იგი თვით ხალხშია შენახული და დაცული, ე. ი. ხელოვნურად დაუმუშავებელი. სწორედ გვაკვირვებს ენერგია, საქმის სიყვარული და გულდადება ბ-ნ არაყიშვილისა, რომელიც აგერ ერთი ხანია, რაც უმწიკვლოდ ემსახურება თავის საყვარელ საქმეს და მომავალ თაობის ქართველ მუსიკოსებს კლდიან-ეკლიან გზას უკაფავს.

ხალხურ სიმღერების და კერძოდ ქართულ სიმღერების ნოტებზე გადაღება, თუნდ ფონოგრაფის შემწეობით მეტად ძნელ საქმეს წარმოადგენს. პირველ ყოვლისა აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თანამედროვე მუსიკალურ ტეხნიკას ჯერ არ შეუმუშავებია ისეთი საშუალება, რომელიც შეძლებას მისცემს მუსიკოსს ყოველი ბგერა, რაიც კი ბუნებაში ჰხვდება ადამიანს, ნოტების საშუალებით ქაღალდზე აღბეჭდოს. ეს მით უფრო ითქმის ჩვენს ხალხურ სიმღერებზე, რომელნიც არც მუსიკალურ რითმას, არც ნოტების დაყოფის სისტემას და არც მელოდიის მსვლელობის კანონებს არ ექვემდებარებიან. ამიტომ „ფოტოგრაფიული“ გადაღება ნოტებზე ქართულ სიმღერებისა შეუძლებელია და ზოგიერთ ცვალებადობას სიმღერებში კაცი გზას ვერ აუქცევს. მაგრამ მიუხედავად ამ სიძნელისა ბ-ნ არაყიშვილის კრებულში შეტანილი ხალხური სამ-ხმოვანი სიმღერები ისე ხელოვნურად არის გადაღებული ნოტებზე, რომ ძველი ქართული სიმღერების მარტო კარგი მცოდნე თუ შეამჩნევს ზოგად ცვლილებას;

უფრო მეტი ცვალებადობა ეტყობა ქართულ სამ-ხმოვან სიმღერებს მეორე და მესამე ხმების გატარებაში. საზოგადოდ, როცა გუნდი მღერის, ყველაზე მკაფიოდ მხოლოდ მელოდია ე. ი. პირველი ხმა მოისმის. ამიტომ მისი გადაღება ნოტებზე გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე დანარჩენ ხმებისა. რაიცა შეეხება „სოლო“ სიმღერებს, როგორც მაგ. ურმული, ჰოროველა და სხვ. აქ სინამდვილე უფრო ზედმიწევნით არის შენახული. საზოგადოდ ეს ახალი შრომა ჩვენი დაუღალავი მუსიკოსისა მეტად ღირსშესამჩნევი საქმეა და თუ ზოგიერთი ნაკლი აქვს, ეს არც ისე სახიფათოა.

ჩვენში ამგვარ ნაშრომს ფართო საზოგადოება გულცივად შეხვდება ხოლმე. ამის მიზეზების გამორკვევა ძალიან შორს წაგვიყვანს. ვიმედოვნებთ რომ თვით პატივცემულ დ. არაყიშვილის პროდუქტივობას და საქმისადმი უსაზღვრო სიყვარულს ეს გულცივობა არ შეაფერხებს.

**შალვა ტატიშვილი.**

P. S. ქართული თარგმანი ტექსტისა მეტად სუსტია. სასურველია, რომ შემდეგ გამოცემებში ეს ფრიად თვალსაჩინო ნაკლი ავტორმა როგორმე თავიდან აიცილოს.

პარიზი, 22 მკათათვე. ოფიციალი. მაასის მარჯვენა ნაპირზე ტიომონფლერის მიდამოებში ბრძოლა არ შეწყვეტილა. აქ გერმანელები მთელი ღამის განმავლობაში იერიშებს განაგრძობდნენ. რამდენიმე კონტრ-იერიში ჩვენმა ჯარმა მოიგერია და მტერს დიდი ზარალი მიაყენა. ფრანგებმა დროებით ხელთ იგდეს მტრის სიმაგრენი, მაგრამ შემდეგ ისევ უკან დაიხიეს და თან 80 ტყვე წამოიყვანეს. გერმანელებმა სოფლის სამხრეთი ნაწილი დაიჭირეს და იქ მაგრდებიან. აქ ამ ჟამად გამწვავებული ბრძოლაა. სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე სოფლის სადგური ჯერ ისევ ჩვენს ხელშია. ღამის განმავლობაში გერმანელებს კონტრ-იერიშები არ შეუწყვეტიათ. ვოგიზებში გერმანელები შაპელოტტის სიმაღლეს იერიშით ეკვეთნენ, მაგრამ მოვიგერიეთ.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**მდგომარეობა რუსეთის ასპარეზზე.**

გენ. ბრუსილოვის არმიის შეტევა ვლადიმირო-ვოლინის და ლვოვის მიმართულებით ნელ-ნელა ფართოვდება და კოველის მიდამოებს უახლოვდება. ამ ჟამად ამ ასპარეზის ბრძოლის ხაზი—110 ვერსზედ არის გაჭიმული და როჟიცე-კოველის და ბროდი-ლვოვის რკინის გზის შუა არის მოქცეული.

კოველის მიმართულებით რუსის ჯარმა მტერი მდ. სტოხოდის იქით გარეკა და თვით კოველის ციხეს 32 ვერსის სიშორეზე მიუახლოვდა. ორი დღის განმავლობაში ე. ი. 15 და 16 მკათათვეს გენ. ბრუსილოვის ჯარმა 650 აფიცერი და 32,000 ჯარის კაცი წამოიყვანა ტყვედ. ტყვეთა უამრავი რიცხვი გვიმტკიცებს, რომ მტერს ამ ოპერაციების დროს კარგა დიდი ზარალი უნდა მოსვლოდეს.

რუსეთის სამხრეთ - დასავლეთის ბრძოლის ასპარეზზედაც ამ ბოლო ხანებში დიდი ცვლილება მოხდა. მდ. დნესტრის სამხრეთით გენ. ლეჩიცკის ჯარმა მტრის სიმაგრეები აიღო და კარგა მანძილზე უკან დაახევინა.

ამ ბრძოლაში თავი ისახელა კავკასიის ერთმა დივიზიამ, რომელმაც თავგანწირულ იერიშით სოფ. ეზერჟანი აიღო. ამ პუნქტის აღებას დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, რადგან რუსის ჯარს ხელში ჩაუვარდა სტანისლავოვისაკენ მიმავალი გზა, რომელსაც ამ ჟამად რუსები 30 ვერსით არიან დაშორებულნი.

**გერმანეთი და ჰოლანდია.**

ეს ერთი ხანია ჰოლანდიაში სანოვაგის და სურსათის კრიზისმა იჩინა თავი. ამ ნიადაგზე ჰოლანდიის მცხოვრებთა შორის დიდი უკმაყოფილებაა: ხშირად ჰოლანდიის სხვა და სხვა ქალაქებში მიტინგები იმართება და ხალხი მთავრობის პოლიტიკას ჰგმობს. პროგრესიული გაზეთები აღნიშნავენ, რომ ჰოლანდიაში სანოვაგის კრიზისი გამოიწვია გერმანეთმა, რომელიც მუქარით აიძულებს. ჰოლანდიას რომ მფრინავთა მოსაგერიებელი ზარბაზნები ჰქონდეს იგი გერმანეთის თავისუფალ თარეშს და ბატონობას ბოლოს მოუღებდა. ამ ზარბაზნების უქონლობა კი გამოწვეულია იმ მიზეზით, რომ ჰოლანდიის სამხედრო მინისტრს გერმანეთის სამხედრო ძლიერებისა ძალიან ეშინიან და ყოველ მათ ჟინიანობას შეურყევლად ასრულებსო.

**გერმანეთის ქვეშევრდომთა გაფრთხილება.**

ბერლინში გამოკრულია ოფიციალი განცხადება, რომელშიაც მთავრობა გერმანელ ქვეშევრდომთ აფრთხილებს, რათა მათ საზღვარგარედ ყოფნის დროს გერმანეთის პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობაზე არ ილაპარაკონ. სულ უბრალო ჩივილიც კი გერმანეთის ეკონომიურ სისუსტეზე მტერს იმედს მისცემს რომ გერმანეთს შიმშილობა დააყრევინებს იარაღსაო.

**რას აპირობს რუმინეთი?**

რუმინეთის გაზეთები დაბეჯითებით ირწმუნებიან, რომ მიუხედავათ გერმანელების კორესპონდენტების ცნობებისა, რუმინეთის მოკავშირე სახელმწიფოებთან შეერთება გადაწყვეტილია მთავრობის მიერო. მეფე სრული თანხმაა ამ გადაწყვეტილებისა და არაფერში არ ეწინაღმდეგება თავის მთავრობასო.

გაზეთების ამ დაბეჯითებითი კილომ რუმინეთში მცხოვრები ავსტრიელები, გერმანელნი და ბულგარელები მეტად შეაფიქრიანა. ბევრი მათგანი თავის ცოლ-შვილს საჩქაროდ სამშობლოში ჰგზავნის.

## დეპეშები

(პეტროგრადის დეპ. სააგენტოსაგან)

**რუსეთის ასპარეზზე:** სოფ. რუდკი მირინსკის ბრძოლაში რუსებმა 600 ნაბიჯით უკან დაიხიეს და სოფელი მიატოვეს. ბროდის სამხრეთით გენ. სახაროვის ბრძოლის ასპარეზზე სასტიკი ბრძოლაა. აქ რუსებმა 1300 ტყვე წამოიყვანეს.

—

**კავკასიის ასპარეზზე:** მდგომარეობა უცვლელია.

—

**ინგლისის ასპარეზზე:** გერმანელების „ცეპელინები“ კვლავ დათარეშობენ ინგლისის სანაპიროებთან და ქალაქებს ყუმბარას უშენენ. კენტის სანაპიროებთან კიდევ შეუნიშნავთ რამდენიმე „ცეპელინი“, რომელიც ინგლისისაკენ მიფრინავდნენ. ამბობენ „ცეპელინებს“ თვით ქ. კენტისთვის ყუმბარები უსროლიათო. დაწვრილებით ოფიციალი ცნობები ჯერ კიდევ არ არის.

—

**საფრანგეთის ასპარეზზე:** საარტილერიო ბრძოლაა.

## უკანასკნელი დეპეშები

ახალ პირობის ძალით რუმინეთმა გერმანეთს 58000 ტონი (ტონი 62 ფუთია) ხორბალი გაუგზავნა.

—

იტალიის შტაბი იტყობინება: გალიციის ასპარეზზე ჯარის ხელმძღვანელობა გერმანელ აფიცერთა ხელში გადავიდა, მიუხედავად იმისა, რომ ავსტრიელები წინააღმდეგნი იყვნენო. კოველის მახლობლად ერთი პოლკი არ დაემორჩილა გერმანელებს და ტყვიისმფრქვეველებით დახვრიტესო.

—

პარიზიდან იტყობინებიან: დასავლეთ ასპარეზზე გერმანელებმა 122 დივიზიას მოუყარეს თავიო.

—

ნიუიორკში ტყვია-წამლით დატვირთულ ვაგონების აფეთქებამ 30 მილიონის ზარალი გამოიწვია. აფეთქება გერმანელებს მოუწყვიათ. რამდენიმე გემის პატრონი შეიპყრეს.

—

ომის მეორე წლის თავზე კაიზერს მანიფესტში ჯარისთვის მიუმართავს: „ამხანაგებოო!“ და შეუქია მათი თავგანწირვა და ვაჟკაცობა.

—

ინგლისის საზოგადოება მეტად აშფოთა სავაჭრო გემის „ბრიუსსელის“ კაპიტანის ფრაიეტის სიკვდილით დასჯამ. ფრაიეტს გერმანეთის სამხედრო სასამართლომ სიკვდილით დასჯა მიუსაჯა იმისთვის, რომ მან გერმანელების წყალ-ქვეშა ნავი ჩასძირა.

—

„ტაიმსი“ სწერს: წარსულ წელს თიბათვეში გერმანელებს ეგონათ, რომ რუსეთი დაამარცხეს და ომიც დასრულდა, მაგრამ შესცდნენ. ომი სწორედ იმ დღიდან დაიწყოო.

—

21 მკათათვეს ჩასძირეს ინგლისელების გემი კოკერლაინის კომპანიისა — „ბრიტანიკი“ და „მარგერეტკსუტნ“.

—

22 მკათათვეს ღამე ჩრდილოეთის ზღვაზე გერმანელებმა წყალქვეშით ჩასძირეს ინგლისელების გემები: „სმილინგმორნ“ და „ტვიდლერ“. კომანდა გადარჩა.

—

მთაშავეთის მეფე ნიკოლოზმა მიიღო ესად ფაშა და დიდხანს ესაუბრა.

—

ვილჰელმმა კანცლერს შემდეგის შინაარსის წერილი მისწერა: შერიგების სურვილი დიდია, მაგრამ ომი მაინც გაგრძელდება, რადგან მოწინაალმდეგენი სცდილობენ გერმანეთი აღგავონ მიწის პირიდგან. გერმანეთის ხალხმა იცის, რომ ყოფნა არ ყოფნის საკითხი დასდგომია. ჩვენ გვსურს ვიცოცხლოთ და ვიყვნეთ თავისუფალნი, ძლიერნი და დამოუკიდებელნიო.

—

ვაშინგტონიდან იტყობინებიან: ნორფოლკის ნაპირებთან ინგლისის და საფრანგეთის ფლოტი გერმანეთის წყალ-ქვეშა ნავს „დოჩლანდს“ უთვალთვალებს და სცდილობს როგორმე გზა მოუჭრას. ამერიკის მთავრობის განკარგულებით გერმანელების წყალქვეშას ამერიკის სამხედრო გემები თან გაჰყვნენ, რათა დაიცვან იგი მოკავშირეთა ფლოტის თავდაცემისაგან შეერთებულ შტატების კუთვნილ წყლებში.

—

საფრანგეთის გარეშე საქმეთა სამინისტრომ გადასწყვიტა ნეიტრალ სახელმწიფოებს გერმანეთის მოქმედების წინააღმდეგ პროტესტით მიჰმართოს. პროტესტის საბაბს სხვათა შორის შეადგენს ის გარემოება, რომ გერმანელებმა ამ ბოლო დროს რუბესა, ლილსა და ტურკანში მცხოვრებთ 25,000 ფრანგი მინდვრების დასამუშავებლად გერმანეთში გადაასახლეს.

—

გერმანელებმა დააკმაყოფილეს ბულგარელების თხოვნა და დობრუჯის ასპარეზზე ბულგარელების ჯარი თავისი ჯარით შესცვალეს.

—

„რეჩი“ იტყობინება: რუსის ჯარში გულის წყრომას იწვევს ის გარემოება, რომ რუსეთის პრესაში შტიურმერის განცხადება, რომ მთავრობას გადაწყვეტილი აქვს სრულს გამარჯვებამდე იბრძოლოს, არ იყო აღნიშნული და მხოლოდ შემდეგ ფრანგულ გაზეთებიდან გადმოიბეჭდაო.

—

ვენიდან იტყობინებიან: ოსმალეთის აუარებელი ოფიცრობა გალიციის გზით ლვოვში მოვიდა. ოსმალეთის ჯარის გადმოსხმა გერმანელების და ავსტრიელების დასახმარებლად კიდევ გრძელდება.

—

1916 წლისთვის სესხის საკითხი გადაწყდა. სესხი განზრახულია არა ნაკლებ ორი მილიარდის მანეთისა.

—

ჰააგაში ნეიტრალ სახელმწიფოების სოციალისტების კონფერენცია მოხდა. რუმინეთის პოლიტიკურ მდგომარეობის გამო. კონფერენციას არ დაესწრნენ რუმინეთის სოციალისტები.

—

„ბერლინერ ტაგებლატი“ წინააღმდეგია, რომ რუსეთის პოლონეთი გალიციისას შეუერთდეს. გაზეთი მოითხოვს: პოლონეთი რუსეთის საწინააღმდეგოდ ბუფერად უნდა გამოცხადდეს და ადმინისტრატიულ სამხედრო და პოლიტიკურ პროტექტორების ქვეშ გერმანეთს უნდა დაექვემდებაროს.

—

ბერლინის პოლიციამ ლიბკნეხტის მომხრეებს ზავის საკითხის გამოსარკვევად მიტინგის გამართვის ნება არ დართო, რადგან სიტყვები წინასწარ ცენზურას არ წარუდგინეს.

—

გერმანეთის უნივერსიტეტების პროფესორემა ზავის ჩამოსაგდებად შუამდგომლობა აღძრეს.

—

ბუქარესტიდან იტყობინებიან: დარდანელთან ოსმალებს ჰყავთ ორი გერმანელების და ორიც ოსმალების დივიზია, კონსტანტინეპოლში ჯარი შესდგება გერმანელ-ავსტრია-ოსმალთა რაზმებისაგან: რიცხვით 10 ათასი. კონსტანტინეპოლსა და ზუნგულდაკის შორის შავის ზღვის პირად ერთი დივიზია იმყოფება. ფრაკიაში ჯარის მოვალეობას ჟანდარმები ასრულებენ. ვარნაში იმყოფება ერთი დივიზია ოსმალების და ერთიც ბრიგადა. ოსმალეთის უმთავრესი ძალა მცირე აზიასა და კავკასიის ასპარეზზეა.

## ალექსანდრე ყიფშიძე

(მოსკოვის მოგონებიდან)

შარშანწინ საშობლოდ მოსკოვში ნიკო მარი მოხსენებას ჰკითხულობდა სომეხთა კულტურაზე.

დამსწრე ქართველთა შორის უცბად შევამჩნიე ალექსანდრე ყიფშიძის მოძრავი სახე მისი მოლურჯო სათვალეებით.

იგი ჩამოსული იყო ალ. ხახანაშვილის ანდერძის დასამტკიცებლად.

სულ ორი კვირა თუ დაჰყო ალექსანდრემ ამ საქმის მოსაგვარებლად, მაგრამ ის თავისუფალი საათები, რომელიც მან ამ მოკლე ხნის განმავლობაში გაატარა თანამემამულეებთან ერთად, არასოდეს არ წარიხოცება მოსკოვის ქართველ მოახალშენეთა ხსოვნაში.

ფალცფეინის სასტუმროს ოთახი, რომელშიაც იდგა ალექსანდრე, იმ ხანად მეტად პოპულიარი იყო ქართველობაში. აქ მოსულს ნახავდით როგორც ახალგაზრდას ისე მოხუცს.

ზოგი „ფრონელთან“ სასაუბროდ მოდიოდა, ზოგი კიდევ „საშას“ სანახავად.

ყველაზე ხშირი სტუმრები, როგორც მახსოვს, იქაური სამეურნეო ინსტიტუტის მსმენელები გახლდნენ; მათი თაოსნობით ალ. ყიფშიძეს საპატივსაცემოდ განსაკუთრებული საღამო გაიმართა ქართულ საზოგადოების სახლში, რომელზედაც შეკრებილთ ბევრი რამ საგულისხმო გაიგეს სადღეისო საჭირ-ბოროტო საკითხებზე.

სწორედ განსაცვიფრებელი იყო ის ცეცხლიანი ენა, რომლითაც ამეტყველდებოდა ხოლმე განსვენებული, როგორც კი საუბარი საქართველოს საბედო საკითხებს შეეხებოდა: გეგონებოდათ თქვენ წინ ახალგაზდა სდგას და არა ორმოცდათხუთმეტი წლის კაციო.

ნააზრევით, გამოცდილებით და მეხსიერებით მდიდარს ალექსანდრე ყიფშიძეს დიდათ ეხერხებოდა შედარებით მსჯელობა.

დაუვიწყარია ერთი მწარე შედარება:

— ახლანდელი ქართველებიო,— სთქვა გულდაწყვეტილად განსვენებულმა, იმ კონსტანტინოპოლელ ბერძენთ ჰგვანან, რომელნიც მაჰმად მე-II ლაშქრით ალყა შემორტყმულნი, სალვთისმეტყველო და საეკლესიო პარტიებად დაყოფილნი, ერთი-ერთმანეთს თავპირს ამტვრევდნენ,

დიდუბის გალავანში მოსიარულეთ ახსოვდეთ ალექსანდრე ყიფშიძის სიტყვა.

გრ. ვეშაპელი.

## † ალექსანდრე ნათაძე

ალექსანდრე ივანეს-ძე ნათაძე სულ 50 წლისა იყო. იგი სოფ. ალევში, (დუშეთის მაზრა) დაიბადა ღარიბი მღვდლის ოჯახში. გორის საოსტატო სემინარიის დამთავრების შემდეგ ჯერ სოფლის მასწავლებლად წავიდა, სხვათა შორის ს. ხაშურშიც მასწავლებლობდა, შემდეგ გადმოვიდა თბილისში ქართულ გიმნაზიის მოსამზადებელ კლასის მასწავლებლად, 21 წელი დაჰყო აქ და პენსიაც დაიმსახურა. გიმნაზიიდან გამოსვლის შემდეგ მან ჩააბარა ეგზამენი გიმნაზიის მასწავლებლობაზე და ბათომის გიმნაზიაში იქმნა დანიშნული ქართულ ენის მასწავლებლად. აქაც დიდი პატივისცემა დაიმსახურა მოწაფეთა და ამხანაგთა შორის. მალე მან დასტოვა გიმნაზია და გადავიდა ნუხში უმაღლეს პირველ დაწყებით სკოლაში რუსულ ენის და გეოგრაფიის მასწავლებლად, სადაც ამ ჟამადაც ირიცხებოდა. განსვენებული საუკეთესო პედაგოგათ ითვლებოდა ყველგან სადაც კი უმსახურია და ზედმიწევნით ჰქონდა შესწავლილი თავისი საქმე. გარდა მრავალ ჟურნალებში მოთავსებულ საპედაგოგიო და საბავშვო წერილებისა, განსვენებულმა დასტოვა ნაშრომი უკვე გამოცემული სხვა და სხვა დროს: 1) ბავშვების მოვლა, პედაგოგიური წერილები 2) ბავშვების მოკეთე—ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი სკოლებში სახმარებელი 3) „ჩვენს დედებს“— წერილები და სხვ.

პ—ი.

## ეროვნული ვითარება

**კეზმენტის სიკვდილით დასჯა.** გუშინდელი დეპეშით გავიგეთ, რომ ცნობილი ბელადი ირლანდიის უკანასკნელი ამბოხებისა სერი როჯერ დავიდ კეზმენტი სიკვდილით დაუსჯიათ.

ბევრს იმედი ჰქონდა, რომ ინგლისი ისევე მოექცეოდა ირლანდიელებს და კეზმენტსაც, როგორც ტრანსვაალის ბურებს და მათ ბელად გენერალ ბოტას.

**პოლონეთის საკითხი.** მოსკოვში კადეტთა პარტიის მეთაურებს საგანგებო თათბირი ჰქონიათ პოლონეთის შესახებ პავლე მილიუკოვის თავმჯდომარეობით. პროფ. კოკოშკინს წარმოუდგენია მოხსენება, რომლითაც იგი ურჩევდა პოლონელებს მიეღოთ კადეტების მიერ ათი წლის წინად შედგენილი პროექტი ავტონომიისა.

პოლონელთა წარმომადგენლებს უარი უთქვამთ კადეტების გეგმაზე, რადგან იგი მეტად დახავსებულია.

პოლონელებმა წარმოადგინეს ვრცელი კრიტიკული განხილვა კადეტების პროექტისა, შედგენილი ლოზანნაში ცნობილ ემიგრანტ ერაზმ პილცის მიერ. მთავარი დებულებანი პილცის კრიტიკისა შემდეგია:

1) კადეტების პროექტი არ აღიარებს სავსებით პოლონეთის სამეფოს ავტონომიას.

2) კადეტები ახვევენ თავზე პოლონელებს საყოველთაო საარჩევნო უფლებას, როდესაც ასეთი რადიკალობა სრულიად არ შეეფერება პოლონეთის საზოგადოების სურვილს, ისევე როგორც არ შეეფერება ერთ-პალატიანი სისტემაო.

3) კადეტების პროექტი სწყვეტს არა-პოლონელთა ეროვნულ უმცირესობის საკითხს, როდესაც ეს თვით თავისუფალ პოლონეთს უნდა ეკითხებოდესო.

4) მიუღებელია აგრეთვე ისეთი შეზღუდვა პოლონელების ეკონომიური უფლებისა, როგორიც არის გადასახადების, რკინის გზების და ტარიფების გამოცლა პოლონელთა ხელიდან და რუსულ სააქციონერო ამხანაგობათა უფლებანი პოლონეთში მოქმედებისა.

დასკვნა პილცის მოხსენებისა ასეთია: „ოცდა ოთხი თვის ბრძოლის, წვალების შემდეგ პოლონელი მოღვაწენი, თვით ზომიერნიც კი, ღრმად დარწმუნებულნი არიან, რომ პოლონეთის ავტონომია ვერ გადაწყდება უბრალო საოლქო ავტონომიით (თვითმართველობით). რეალი პოლიტიკა უნდა ანგარიშობდეს ეროვნულ მისწრაფებებს, პოლონეთის ერი კი ილტვის თავისუფალ სახელმწიფოსაკენო“.

## ახალი ამბავი

◆ **საფსიხიატრო სამკურნალო სურამში.** საგანგებო კომისიამ უკვე დაათვალიერა სურამში ის ადგილი, სადაც გადაწყვეტილია საფსიხიატრო საავადმყოფოს დაარსება სურამში. კომისიაში შედიოდნენ სამკურნალო ნაწილის უფროსი ბ. ფეხნერი პროფ. ჩიჟი, ექიმები ორბელი, ეგიაზაროვი და წარმომადგენელნი სატეხნიკო და სატყეო ნაწილისა. კომისიას შეხვდა სურამში წარმომადგენელნი სურამის მცხოვრებთა და მათი წინამძღოლობით კომისიამ გულდასმით შეისწავლა როგორც სამხედრო სასწავლებლის კუთვნილი სახელმწიფო მიწის ნაჭერი, ზომით 50 დესეტინა, ისე კერძო მესაკუთრეთა მოსაზღვრე მიწები. კომისიამ მოიწონა მთელი ეს ადგილმდებარეობა, საავადმყოფოსათვის ყოველ მხრივ ხელსაყრელად სცნო. დაბრკოლება კომისიის აზრით იმაზედღა იქნება დამოკიდებული რამდენად ადგილობრივი მემამულენი შეღავათიან პირობებით დაუთმობენ თვის მამულს და არ შეაფერხებენ ამ საკითხის კეთილად დაბოლოვებას.

◆ **ობერ-პროკურორი** უწმ. სინოდისა ა. ნ. ვოლჟინი დასავლეთ საქართველოს გაემგზავრა იმერეთის და გურია-სამეგრელოს ეპარქიების დასათვალიერებლად. ობერ-პროკურორთან ერთად გაემგზავრენ საქართველოს ექსარხოსი პლატონი, ობერ-პროკურორის კანცელარიის დირექტორი კ. ი. იაცკევიჩი, საგანგებო საქმეთა მოხელე დ. პ. მიშეცკი და საქართველოს საექსარხოსოს მონასტრების მოწესრიგე არქ. ნაზარი. სადგურზე ობერ-პროკურორი გააცილეს საექსარხოსოს მღვდელ-მთავრებმა და სასინოდო კანტორის მოხელეებმა, კანტორის პროკურორის მეთაურობით.

◆ **სამწუხარო ამბავს** ატყობინებენ „სახალხო ფურცელს“. ჩვენი ცნობილი საზოგადო მოღვაწე ბ-ნი გ. ზდანოვიჩი (მაიაშვილი) უფრო ცუდათ გამხდარა. მას სიდამბლე მოსვლია, რის გამო ენა ჩავარდნია. ავადმყოფი ქობულეთში წაუყვანიათ საექიმოდ და მოსასვენებლად.

◆ **დაკრძალეს** გუშინ პეტრე პავლეს სასაფლაოზე კაზიმირ საველისძე ცხომელიძე. დაკრძალვას მრავალი ნაცნობები და მეგობრები დაესწრნენ. განსვენებულის კუბო მრავალი გვირგვინებით იყო შემკული.

◆ **თბილ. საოლქო სასამართლოს** ბრალმდებელი ა. ა. გრომოვი დაინიშნა ამავე თანამდებობაზე ბაქოში ი. ს. კალვაიტის ნაცვლად რომელიც ბ. გრომოვის ადგილზე გადმოიყვანეს. თბ. საოლქო სასამართლოს ბრალმდებლის ამხანაგი დ. ი. უთნელიშვილი ინიშნება ბრალმდებლად ქუთაისის საოლქო სასამართლოსი, ხოლო ბრალმდებლის ამხანაგი თბ. საოლქო სასამართლოსი ვ. ა. ნაზაროვი—ბაქოს საოლქო სასამართლოს წევრად.

◆ **ყაზანის აკადემიის საბჭომ** აცნობა საქართველოს ექსარხოს, რომ მომავალ წელს აკადემიის 75 წელი უსრულდება დღიდან დაარსებისა. ამის გამო აკადემიის საბჭო სთხოვს ექსარხოს სასულიერო უწყებაში იმ მოსამსახურე პირთ რომელთაც 1892—1915 წლამდე დაუმთავრებიათ სწავლა ამ აკადემიაში, მიაწოდოს სია ამ მოკლე ხანში საიუბილეო გამოცემაში შესატანათ.

◆ **ბრინჯი.** მიუხედავად ბრინჯის სიძვირისა თბილისში, ამ ჟამად ბაქოში 2 მილიონი ფუთი ბრინჯია თურმე დატყვევებული.

◆ **ქალაქის წყალი.** განსაკუთრებულმა ბიურომ, რომელსაც დავალებული აქვს ქალაქის უზრუნველყოფა წყლის მხრივ, დაავალა ინჟინერს ლისიციანს გამოიკვლიოს მუხრანის წყაროები: 22 ამა თვეს აღნიშნულ წყაროების დასათვალიერებლად იყვნენ მუხრანში ლისიციანთან ერთად ინჟინერები ქურდიანი, ვაწაძე და ოზეროვი. ინჟინერები კმაყოფილი დარჩნენ ამ წყაროებით; მათის ანგარიშით წყალი საკმაოდ არის ამ ადგილას და წყლის გამოყვანაც ადვილად შეიძლება ქალაქის ზემო აუზამდის.

◆ **სეტყვისაგან დაზარალება.** როგორც თბ. გუბერნატორის კანცელარიას ატყობინებენ სეტყვას ძველ-გავაზის სოფლის საზოგადოების 731 დესეტინა მიწა დაუზარალებია, ზარალი 223415 მანეთს უდრის, ხოლო ყვარლის საზოგადოებისა—446 დესეტ.—239560 მანეთისა.

◆ **ქართველ მოღვაწეთა აგარაკის** ფონდისთვის დღემდე შეუგროვებია საგანგებო კომისიას 5,000 მანეთი, რომელიც ინახება სამეურნეო ბანკში.

◆ **პანაშვიდი.** დღეს, 24 მკათათვეს, ალ. ყიფშიძის გარდაცვალების 40 დღის თავზე, დიდუბის ეკლესიაში გარდახდილ იქმნება წირვა და შემდეგ პანაშვიდი.

◆ **ქართულ სასოფლო სამეურ. საზ.** საბჭომ დაადგინა 21 ამა თვეს,—მოსთხოვოს საზოგადოების ინსტრუქტორებს წარსულ ნახევარი წლის მოქმედების ანგარიში და გეგმა მომავალი მოქმედებისა. საბჭომ აგრეთვე დაავალა მდივანს დაიაროს საზოგადოების მამულები და შეიმუშაოს პროექტი გეგმისა შემოდგომაზე სამუშაოდ.

◆ **ქალაქთა კავშირმა** შეუკვეთა ბ-ნ დ. ლოლაძეს ორ-ცხენიანი 150 საკაცე თითო 160 მანეთად. ეს საკაცეები სჭირდება დაჭრილ მეომართა წამოსაყვანად.

◆ **საზოგადო კრება.** დღეს, 24 მკათათვეს, საღამოს 8 საათზე, სამეურნეო ბანკის დარბაზში დანიშნულია მომხმარებელ საზოგადოების „მეურნის“ წევრთა საზოგადო კრება.

◆ **შემოიტანეს.** თბილისში 20 მკათათვეს: ფქვილი 2 ვაგ., სიმინდი 1 ვაგ., მარილი 2 ვაგ., ნავთი 1 ვაგ., შეშა 14 ვაგ., კარტოფილი 416 ფუთი, პამიდორი 406 ფუთი, კარაქი 61 ფუთი, ახალი ხილი 518 ფუთი.

◆ **ნიხრის აწევა თევზზე.** თბ. მეთევზეებმა შუამდგომლობა აღძრეს ქალაქის გამგეობის წინაშე, რათა მოუმატოს გამგეობამ ნიხრს თევზზე, რადგან ნაკლებ მოდის ამ ჟამად თევზი ქალაქშიო. წინააღმდეგ შემთხვევაში, სწერენ თვის შუამდგომლობაში მეთევზეები, ქალაქი უთევზოდ დარჩებაო.

**ქუთაისი.**

◆ **ქუთაისის სახალხო სკოლების** დირექტორმა მიიღო დეპეშა კავკასიის ოლქის მზრუნველისაგან, რომ სოფლის მასწავლებლები, რომლებიც მსახურებენ, ჯარში არ იქნებიან გაწვეულნი. მხოლოდ 15 მარიამობისთვემდის უნდა აიღონ მოწმობა რაიონების ინსპექტორებიდან, რომ ისინი მსახურებენ და ეს მოწმობა წარადგინონ სამხედრო უფროსთან (სამშ.)

**ბათომი.**

◆ **საჭიროა ფერშალი.** ბათომის ქალაქის საავადმყოფოს უფროსი ექიმი აცხადებს, რომ საავადმყოფოსთვის სჭირია ერთი ფერშალი, ქალი თუ კაცი. ჯამაგირი ექნება თვეში ასი მანეთი, ბინისა და ჭამა-სმის გარდა.

## ქართველი სამღვდელოების მომავლის საკითხი

(დასასრული)

ამ წერილის უმთავრესი საგანია— ანალიზი გაუკეთოს აწინდელ სამღვდელოების მდგომარეობას და მიუთითოს მას საამდროვო საკითხებზე, რათა წარსული შეცდომები არ განმეორდეს მის ცხოვრებაში და სავსებით არ დაკარგოს ის, რაც კიდევ შეურჩენია მისთვის განვლილ ისტორიულ ქარტეხილს. კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ მარტო ლითონი სიტყვა საკმაო არ არის საქმის გასაკეთებლათ; ავტოკეფალია, საეკლესიო თვითმართველობა ერთბაშად ციდან არ ჩამოფრინდება, მისი ფესვი ჩვენს ცხოვრებაში უნდა გაინასკვოს, აქ უნდა აღიზარდოს და აქვე უნდა გადაიჭრას.

ცხოვრება მოითხოვს ჩვენგან სათანადო პასუხი გავცეთ მის-მიერ წარმოშობილ საკითხებს და რამდენათაც ამ საკითხებს სწორათ გადავჭრით, რამდენათაც გავერკვევით დღევანდელ რთულ ურთიერთობაში, იმდენათ უფრო მოვიპოვებთ არსებობის უფლებას, ხოლო რამდენადაც განვაგრძობთ ძველ გზაზე დგომას და ინერტულ მდგომარეობაში ყოფნას, იმდენათ ჩამოვშორდებით და დავკარგავთ ცხოვრების უფლებას და სავსებით უარყოფილი შევიქმნებით. სამღვდელოების აწმყო უბედურება

იმაში, რომ მასში არ მოიპოვება ერთი სახელმძღვანელო აზრი, ერთი განსაზღვრული გეგმა: ის არ წარმოადგენს ერთ მთლიანს, კომპაქტურ ერთეულს, შედუღებულს და შეკავშირებულს საზოგადო იდეალების კერ-დუღაბით, მას არ გააჩნია საქმე, სიტყვის თანამედროვე და საუკეთესო მნიშვნელობით. ბევრს ჰგონია და შიშობს, რომ ასეთი ერთობა განამტკიცებს წოდებრიობას, შეჰქმნის კასტას და მაჯლაჯუნათ მოევლინება ცხოვრებასაო. ეს ყალბი წარმოდგენაა და სრულიად არ შეეფერება დღევანდელ მდგომარეობას: განსაკუთრებული კასტის შექმნა დღევანდელი ცხოვრების პირობებში ყოვლად შეუძლებელია, რაც გინდ გენიოსი არ უდგეს მას სათავეში. ერთობა-კი სამღვდელოებაში განამტკიცებს საზოგადო იდეალებს, მოუპოვებს მას ნიადაგს, შეჰქმნის საზოგადო თვალსაზრისს და წარმოშობს, დღევანდელი სივაგლახის ნაცვლად, გაბედულს და საზრიან მოქმედებას. სამღვდელოებას უნდა ახსოვდეს, რომ „უნაყოფო ხე მოიჭრების და ცეცხლზე დაიდების“, უნდა განიმსჭვალოს იმ ჭეშმარიტებით, რომ, თუ დროზე არ ეცდება ნაყოფის გამოღებას, საზოგადოების სასარგებლო და კეთილ სამსახურს, ადრევე მოეკვეთება საერო ცხოვრების ღეროს.

ჩვენი აკვანიც და ჩვენი სამარეც ხალხია და მისი წმინდა სამსახური უნდა შეადგენდეს ჩვენი მოქმედება-მოღვაწეობის ქვაკუთხედს. იგი ხალხი შობს და სჭედს მთავრობებს და არა უკანასკნელნი პირველთ და შობს იმიტომ კი არა, რომ მარტო მიიღონ და განცხრომაში განისვენონ, არამედ იმიტომ, რომ მას ემსახურონ და შესძინონ ის, რაც მას არ მოეპოვება და რაც მას უჭირს. ასეთია ხალხთან დამოკიდებულების ამოცანა

სამღვდელოებას აბარია ერთი მხარე ეროვნული ცხოვრებისა და ამაში უნდა გამოიჩინოს მან თავისი უნარი და ცოდნა. სარწმუნოებრივ ჭეშმარიტებათა ქადაგება და ქრისტეს რჯულის შესისხლხორცება.—ესეთია მოციქულებრივი დანიშნულება ქვეყნის მოძღვართა, მაგრამ სიტყა მშრალი, განყენებული ვერ გარდაქმნის ცხოვრებას, საჭიროა ცოცხალი საქმე, გულითადი კავშირი სახალხო კულტურულ საქმეებთან: ფართო ქველმოქმედება, სწავლა-განათლება, საავათმყოფოები, სამზრუნველოები და მათი მზგავსნი, აი, ის სფეროები, სადაც მოძღვარი უნდა მეთაურობდეს და რომელთა სული და გული შეიქნეს; მაშინ ხომ სიტყვას ხორცი შეესხმება და სულიერი კულტურა გაღრმავდება და განვითარდება. მაგრამ ყოველივე ეს მოითხოვს სამღვდელოებისაგან მწყობრს და მიზან-შეწონილ მოქმედებას, მძლავრ ენერგიას, რომლის სათავე სამღვდელოთა კავშირი გახდება. თითქმის დღესაც არსებობს რაღაც კავშირისებური ორგანო, საეპარქიო კრებები, მაგრამ უნდა მართალი ვსთქვათ, ასეთ კრებებს დღემდის არავითარი პრაქტიკული ნაბიჯი ცხოვრების ტკივილების განკურნების საქმეში არ გადაუდგამთ და ვერც გადადგამს, სანამ ის წარმოადგენს წმინდა წყლის ბიუროკრატიულ დაწესებულებას, რომლის მოქმედება დამოკიდებულია არქიერთა ნება-სურვილებზე და გუნებაზე და რომლის ხმა ძალიან ხშირად რჩება ხმად მღაღადებლისა შინა. ჩვენ შეგვიძლია ეს კრებები შინაარსიანი გავხადოთ, ჩვენი კულტურული კავშირის გამოხატულებათ შევქნათ და მის მოწესრიგებაზე ვიზრუნოთ; გარდა ამისა საჭიროა—საბლაღოჩინო კრებების შექმნა, საჭიროა მთელი ადმინისტრატიული ორგანოების ახალ-დონეზე დაყენება და გარდაქმნა და ეს უნდა ხდებოდეს ჩვენი მეცადინეობით, მონდომებით, დაუცხრომელი შრომით და ინიციატივით. ერთი ხელის მოქნევით ქვეყანა არვის აუმუშავებია: სამღვდელოება სისტემატიურათ უნდა ცდილობდეს როგორც თავის, ისე სახალხო ცხოვრების გაუმჯობესებას, მაგრამ „მკურნალო, ჯერ თავი თვისი განიკურნე“-დან უნდა დაიწყოს საერო ცხოვრების ფერხულში ჩაბმა.

დღევანდელი მღვდელი ორმაგ პოლიტიკას აწარმოებს: ერთან-ერისკაცობს და ფანფარონობს, ეკლესიაში მღვდლობს, აქ სხვა სახეს და კბილს აჩენს, იქ-კი წინააღმდეგს. ესეთი მოვლენა უნდა ცნობილ იქმნას უზნეობათ, დამამცირებლად და შემარცხვენელად; ყოველ მღვდელს ერთი პირი, ერთი სახე უნდა აჩენდეს და ეს სახე უნდა იყოს შეურყეველი, უცვლელი, ზეციური ბეჭდით აღბეჭდილი; ასეთ დაღს-კი ქმნის ერთობა. ეხლანდელი გათიშვა სამღვდელოებისა ცუდია ყოველმხრივ: ერთის მხრით ის გრძნობს განმარტოებას, გრძნობს, რომ მოწყვეტილია თავის წრეს და მისი დირექტივები არა აქვს, მეორე მხრით ის ცხოვრობს ხალხში და მის მრავალფეროვან ცხოვრების ფერხულში ჩაბმას ცდილობს; აქ ის პირდაპირ უსუსურობას იჩენს, მას აკლია ხელმძღვანელი იდეა, კომპასი, რომლისოდაც ის ვერ ახერხებს გზის გაკვლევას. მიდიხარ მღვდლად, ეს კომპასი უნდა ვანაგქონდეს, თორემ რას ემზგავსება, როცა მღვდლობა უბრალო ხელოსნობათ დაგისახავს და ყოველგვარი ცოდნის და მიმართულების მქონე მას ეტანება, როგორც ვითომ საარსებო ხელობას. საუბედუროთ, დღევანდელი წესი სამღვდელოთა არჩევისა პირდაპირ გულის ამღვრევი და შემაძრწუნებელია: აქაა სათავე ყოველგვარი ბოროტებისა. რა ღირსების მატარებელია, ან რა პატივის ღირსია ის პირი, ვინც ქრთამების საშუალებით ღებულობს მღვდლობას, ან და ვინც კარ-კარ დაძრწის სხვა და სხვა გავლენიან პირებთან, რათა მათი საშუალებით შეიმოსოს მღვდლის სამოსელით? და მართლაც, ხშირათ ყოველი საქმისათვის გამოუსადეგარი, ყოველგან უვარგისად ცნობილი, მცონარე და ზოგჯერ უზნეობითაც ცნობილი პირი მხოლოდ სამღვდელოების წრეში ახერხებს მოკალათებას. ასეთებს თავის გამოუსადეგრობას და განა ამის შემდეგ გასაკვირველია, რომ ხშირად სწერენ და საყვედურობენ: „მღვდლები ღორმუცელანი არიან, მღვდლები რყვნიან ხალხს თავის ყოფაქცევით“. გასაკვირელია განა, რომ ასეთმა პირებმა ურცხვად სთქვან: ხუთ საათამდი ჯვრისწერა თუმნად ღირს, ხუთ საათს შემდეგ კი ოცდა-ათ მანეთადო?

მაგრამ რა ზომებია საჭირ-ბოროტების ასაცილებლად?—პალიატივებით ვერას გავხდებით, მთავრობის ხელში ყურებაც არ გამოგვადგება, აქ არის საჭირო საკუთარი მტკიცე კულტურული ორგანიზაციის შექმნა, რისთვისაც სამღვდელოებამ არ უნდა დაიშუროს არც საკუთარი ძალა და არც ნივთიერი საშუალება. დღესვე უნდა გაიხსნას მთელი ქართველი სამღვდელოებისათვის ერთი ქართული სემინარია და მოკლე ხანში ქართული აკადემიაც და მით ჩაეყაროს მტკიცე საძირკველი ეროვნული სამღვდელოების აღზრდის საქმეს; რუსული სემინარიები ჩვენ არ და ვერც გვაძლევს ჩვენ საჭირო კონტინგენტს—სამღვდელო პირებისას. ამასთანავე საჭიროა აღსდგეს ზოგიერთი გაუქმებული საეპისკოპოსო კათედრები; დაუყოვნებლივ ხელი მიეყოს საეკლესიო და საღვთისმეტყველო ლიტერატურის შექმნას; მოეწყოს საღვთისმეტყველო წრეები და სახალხო კითხვები; დაარსდეს ერთი ორგანო, ჟურნალის ან გაზეთის სახით, მთელი ქართველი სამღვდელოებისათვის; მოეწყოს სადღეისოთ სპეციალი სამედავითნო და სამგალობლო კურსები; მიღებულ იქნეს ნამდვილი ზომები, რათა მღვდელ-მედავითნეები ცხოვრობდნენ თავ-თავის მრევლში და ერთგულათ ასრულებდნენ ნაკისრ საქმეს; წესათ დაიდვას, რომ ყოველ კვირაობით ყოველ ეკლესიაში წარმოითქმოდეს ქადაგებები; აღსდგეს და გაცხოველდეს მუშაობა სამრევლო სკოლებში; დაარსდეს წერა-კითხვის სკოლები მოზრდილთათვის; დაარსდეს საერთო ფონდი ამ საქმეთა განსახორციელებლად; გამოიძებნოს ნივთიერ საშუალებათა გასაძლიერებელი საშუალებანი და სხ. და სხ. მაშინ სამღვდელოება დაამტკიცებს, რომ მას სწყურია—დაკარგული გზის მოძებნა, მას სწადია საეროვნო სამსახური, იგი გულწრფელად მიილტვის წინსვლისაკენ, რომელიც მხოლოდ არის ნიშანდობლივი თვისება სასიცოცხლო არსებობისა. თუ ეს ასე და დროზე არ მოხდა, ისტორიის განაჩენი მზათაა: რაც წინ არ მიდის, რაც არ ვითარდება, ბუნებრივი შერჩევის ძალით, კვდება და ადგილს უთმობს ახალს, სიცოცხლის მატარებელს ძალას. მარტო ჭამა-სმისათვის ჩვენ ვინ შეგვინახავს და ტყუილად შევცქერით ზეითა ქანდაკებას, რომ ისინი მაინც მოილებენ მოწყალებას და შეგვინარჩუნებენ არსებობასო. უძრავნი და უმოქმედონი, კარგად უნდა გვესმოდეს, არც ამ უკანასკნელთ ეჭირვებათ და დღესაც სჩანს ნიშნები, რომ სამღვდელოებას ანგარიშს არ უწევს არა მარტო ხალხი, არამედ ის მთავრობაც, რომლის თვალებში ცქერა, ხალხის აზრით, შეადგენდა სამღვდელოების წარუხოცელ ცოდვას.

ვინ უნდა იკისროს პირველი ინიციატივა? თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ჩვენი მღვდელ-მთავრები უძლურნი არიან თავის ძალა უფლებით განახორციელონ დასახული გეგმა, დარჩენილა თვით სამღვდელოთა საეპარქიო კრებები, რაც შეიძლება მეტი სამღვდელო პირთა მონაწილეობით, რომელთა მოწვევა შეთანხმებით უნდა მოახდინონ მღვდელ-მთავრებმა ყველა ეპარქიებში და დაახლოებით ერთ დროს, ან და უფრო სწორი გზა—საქართველოს სამღვდელოების წარმომადგენელთა საერთო კრება, რისი ნებართვა წინასწარ უნდა გამოითხოვონ ჩვენმა მღვდელ-მთავრებმა. საჭირ-ბოროტო კითხვები ჩვენს ცხოვრებაში უამრავია; ამ წერილში მათი მესამედიც არ არის აღნიშნული და [illegible] სამღვდელოება არ დააყოვნებს მათ საჩქაროთ გადაჭრას და დაკანონებას. საჭიროა შეგნებულმა სამღვდელოებამ აქეთკენ იბრუნოს პირი და გაიხადოს ეს საკითხი სადღეისო კითხვად, ასწონ-დასწონოს მომავალი კრების დანიშნულება და საორგანიზაციო გეგმა, ხოლო ჩვენმა გაზეთებმა ამ დროებით მაინც მოგვცენ საშუალება აზრის თავისუფლად გაცვლა-გამოცვლისა და [illegible] მასალები ხელშეუხებლად (აზრის შეუკვეთებლად) დაგვიბეჭდონ. ყველა სამღვდელომ მიბარებული ქანქარი წარმოადგინოს და დღევანდელი ცხოვრების კალაპოტის გადაჭრაში მონაწილეობა მიიღოს, თუ არ უნდა დაიმსახუროს შთამომავლობის წყევლა-კრულვა და ზიზღი.

ხ. ლელი.

ქ. ქუთაისი 1916 წ.

## სვანები აფხაზეთში

დღეს დაბრუნდნენ თბილისიდან ორი სვანი რომელნიც ამოურჩევიათ სოხუმის ოლქში დალის ხეობაში გადასახლებულთ, რომელნიც არიან დასახლებული განსვენებულის ალექსანდრე ივანესძე სარაჯიშვილის და სხვა მემამულეთა ადგილებში. მათ, სვანებს აღებული აქვთ გასაწმენდი ადგილები რომლის ბაჟსაც იხდიან წელიწადში დესეტინაზე ხუთ მანეთს. ეს რამოდენიმე წელია დასახლებული არიან, მაგრამ წლიური სარჩო ვერ მოსდით. ეხლა მოურავს რომელიც უსწავლელი მეგრელია მოუთხოვია ბაჟი ათ ათი მანეთი დესეტინაზედ, რაც მგონი მემამულესაგან სრულებით ნათქვამი არა ჰქონია და რომლის გადახდაც მათ არ შეუძლიათ, ჯერ სვანეთში არა ჰქონიათ ადგილი და ეხლა რომ იქიდანაც აიყარონ ეს ორასამდინ მოსახლე და მათი ე. ი. ქართველების ადგილი სომხებმა დაიჭირონ რომელნიც იქ სახლობენ და როგორც გავიგე მოურავიც მათკენ არის—არ იქმნება სასიამოვნო.

ადგილის გარდა კიდევ სწავლა განათლებით არიან ძლიერ დაშორებულნი. არ მოეძევებათ არც მღვდელი, არც მასწავლებელი. ისე ყრუდ არიან დარჩენილი ეს ორასი მოსახლე. იქ მცხოვრებთ რუსებს და სომხებს ეს ყოველივე აქვთ. სვანებს კი თუ ვინმე მოუკვდებათ მაზიარებელი ხომ არავინ არა ჰყავთ, რუსის მღვდელი მოჰყავთ რომელსაც ჯერ „პრაგონს“ აძლევენ და შემდეგ წესის ასაგებს მაგრამ მღვდელი მკვდარს რაც უნდა იყოს არ გაჰყვება და არ დამარხავს, ისე ჩაუშვებენ საფლავში.

თვით მე ვიყავი ერთს ზამთარს ამ სოფელში. მთხოვეს სვანებმა და წაველი მასწავლებლად, რომ მიველი ყველა ოლტაცებაში მოვიდენ (ეს იყო 1910 წლის შემოდგომაზე) შევადგენინე პრიგოვორი ქ. შ. წ. კ. გამ. საზ. სოხუმის განყოფილების სახელზედ, რომელმაც დანიშნა ჯამაგირად მხოლოდ წევრებისაგან შეგროვებული დახმარება—ასე რომ თვეში ათიდან თუთხმეტ მანეთამდე. თვით მოურავმა დამითმო ერთი ოთახი რომელშიდაც ვასწავლიდი და კიდეც ვცხოვრობდი, მოწაფეების რიცხვი ბევრი იყო მაგრამ ადგილი არა მქონდა, რუსებიც სწავლობდენ ქართულს.

ასე დავყავი მაისის დამლევამდე—შემდეგ წაველი სვანეთში. შემოდგომაზედ 1911 წელს კიდევ დავბრუნდი მაგრამ განყოფილებამ უარი მითხრა—ჩვენ სოხუმში გავხსენით ქართული სკოლა რომლის შენახვაც გვიჭირს თორემ იმას ე. ი. სვანების სკოლას სულ ვერ შევინახავთო. მე იძულებული შევიქენი დავბრუნებულვიყავი ქუთაისში სადაც მომცეს ადგილი სვანეთში.

დღეს ეს ორი სვანი დალიდან მოსულები ვნახე. მათ გაჭირვებას უცრემლოთ ვერ მოისმენთ. მთხოვეს წავსულიყავით მათთან, მაგრამ მე ეს არ შემიძლია და შემდეგისათვის შევპირდი.

მასწავლებელი **მიხეილ პირველი.**

## შემოწირულება

რედაქციამ მიიღო შემოწირულება აგარაკის სასარგებლოდ **ელ. ქვასხვაძესაგან ოთხი 4 მანეთი.**

რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი**

## ამიერ-კავკასიის რკ. გზის

**მატარებლების მიმოსვლა**

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 10.33 | საღ. |
| ბორჯომის | სამგზ. | № 17, | 8.27 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 19, | 3.19 | დღ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 11.13 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-3, | 11.13 | საღ. |
| თელავისაკენ | № 4, | 7 „ | 53 „ | დილ. |

**თფილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 9.52 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.43 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 8.48 | საღ. |
| თელავიდან | № 3, . | 7 „ | 58 „ | საღ. |


დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

# კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს თიბათვის 15-დან **იღებს მანგლისში**

კორპუსის ბანაკში

დ. ზესტაფონში

# ექიმი
# დ. კ. მაჭავარიანი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე

ექიმი

# მ. ი. ვაჩნაძე

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—9)

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

# ახალი აფთიაქი

◆პროვიზორის ახვლედიანისა◆

# ექიმი მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ექიმი

# გ. დ. წინამძღვრიშვილი

უ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად, საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 38, მეორე სართული.

ექიმი-დოსტაქარი

# გ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

# ვამზადებთ პიროვნით

პრაპორშჩიკთა სკოლისათვის. მეცადინეობა დაიწყო. მსურველთა მიღება გრძელდება. პირადათ მოლაპარაკება ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქუჩა, № 24. ბინა 1. (თ-128-4)

უცხოეთიდან რუსეთში დაბრუნდა

ექიმი

# ა. დ. შაჰაბაზიანცი

ყოფილი ასისტ. ბერლინის საუნივერსიტეტო კლინიკისა, ყოველდღე ღებულობს ქალთა და საშარდე სნეულებათა ავადმყოფებს. საღ. 5—7 ს. ვერის დაღმ., № 1. სახ. მელიქ-აზარიანცისა, ტელ. 1—96.

# იყიდება საუკეთესო
## ინგლისური უნაგირი 150 მანეთად

მისამართი: ავლაბარი, შამხორის ქუჩა სახლი № 1. იკითხეთ მეფარიძე.

პირველ ხარისხოვანი რესტორანი

# კაფე პარიზი

ახლად მოწყობილი მსგავსად სატახტო ქალაქთა რესტორანებისა.

(სასახლის ქუჩაზე „ახალ კლუბის“ ქვეშ)

სიცხისაგან თავის შეფარება მხოლოდ „კაფე პარიზში“ შეიძლება.

ფასები ყველასათვის ხელმისაწდომია

ყოველ დღე მზადდება

| | |
|---|---|
| საუზმე | ჩაი |
| სადილები | ყავა |
| ვახშმები | ხაჭაპური |
| | პიროჟკები |

ადგილობრივი და უცხოური საჭმელები, კარაქზე, გამოცდილ მზარეულის ხელმძღვანელობით.

პატივისცემით სილ. ს. გიგიბერია.

ხილეული, მადნეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: მოითხოვონ და სვან ყოველთვის მხოლოდ მიტროფანე **ლ ა ღ ი ძ ი ს** და ამხ-ს ქარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის ნამდვილი სამკურნალო წყალი და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გახშირებულია და ხშირად შეცდომაში შეყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების ყალბი ეტიკეტების მიმსგავსებით ნამდვილი ლაღიძის წყლის [illegible] შემდეგია

ქართულად თავმორთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო სამრეწველო მინისტრის მიერ პეტროგრადში და თვით პრობკებსაც აწერია

„ლაღიძის წყალი“




მხოლოდ და მარტო ლაღიძის წყალია მომზადებული სრულიად უვნებელის მაღალი ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის წვნით და მასთანვე

# სუნი და გემოც საამური აქვს

თევზის მრეწველნი

# ძმ. მეზველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „დ. მაილოვის-ძმით“, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზალადა, ცვირე მარილიანი, შავი „მრეწველობის“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფორგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

# თუ გსურთ, მიმართეთ

რემინგტონზე რისამე დაბეჭდვა,

რემინგტ. სწავლა ამერიკ. წესით,

საქმის ქაღალდის დაწერა,

თხოვნების შედგენა,

საქმის და თხოვნის წარმოება,

ცნობების შეკრება,

მოსამსახურის შოვნა,

საკომისიო მინდობილობა,

ბინის გაქირავება,

ბინის შოვნა,

მამულის ყიდვა,

მამულის გასყიდვა,

მამულის დაგირავება,

მამულის იჯარით გაცემა და სხვ.

## ცნობის კონტორას
# ი. თ. გვათუასას

თბილისი, ვერის დაღმართი, სახლი მელიქ აზარიანისა № 1

შუამავლობას ეს კონტორა გასწევს როგორც ქალაქელთა ისე ქალაქ გარეშელთათვის

ყველა საქმეს კონტორა სწრაფლ და პირნათლად ასრულებს.

◆◆ ხელმისაწვდენ ფასებში ◆◆

მისამართი პროვინციელთათვის: Тифлисъ, Верійск. спускъ И. Т. Гватуа, Справочная контора.